# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნებაზე უსაძაგლესია.


ოთხშაბათი, 21 თებერვალი. 2024 წ. №21 (9701) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


### ო, უბედურო საქართველოვ!

# ანეკდოტი კი არა, ნამდვილი პამფლეტია!











### ოპოზიცია უკვე ე. წ. ჩრდილოვან კაბინეტს ქმნის...



# რა ღირს სიკორსკისგან ჭკუის დარიგება?





## ლობისტების მიერ „გასოცხლებული“ სააკაშვილი



## 5 ამომრჩეველს წინ ვერავინ დაუდგება!

## 6 ევროპის ბევრ ქვეყანაში პროდუქტები უფრო იაფია, ვიდრე საქართველოში!





# შოვის ტერიტორიაზე ცხოვრება აღარ შეიძლება!

### ბულგარეთის ფიცარნაგზე

# საცა არა სჯობს...

გუშინ სოფიაში დასრულებული ძალოსანთა ევროფორუმი, ტრადიციისამებრ, ლაშა ტალახაძის ტრიუმფის აღსანიშნავად, ქართული ჰიმნით უნდა დაგვირგვინებულიყო, მაგრამ, როგორც დებულება მოითხოვდა, ჩვენი სასიქადულო შტანგისტი მხოლოდ ტურნირზე დარეგისტრირებითა და აწონვით დაკმაყოფილდა, საპატიო კვარცხლბეკისკენ კი მწვანე შუქი მისი ჰეგემონიით დატანჯულ მეტოქეებს აუნთო.

როგორც გაირკვა, საგანგაშო არაფერია — ჩვენი დელეგაციის მესვეურებმა, უბრალოდ, არ გარისკეს და ყველაფრის ჩემპიონს ახლადგადატანილი ვირუსისა და მცირე ტრავმების გამო დასვენების საშუალება მისცეს. ვერც გავამტყუნებთ — ზაფხულში ხომ პარიზის მესამე ოლიმპიური მწვერვალი უნდა დაიპყროს.





ლიდერის არყოფნაში გვასახელა ანასტასია გოტფრიდმა (87 კგ), რომელმაც ატაცში მოხვეჭილ ოქროს აკვრასა და ორჭიდში დამსახურებული ვერცხლის ჯილდოები დაუმატა და ბულგარულ ფიცარნაგზე ჯვაროსანთა მოპოვებულ მედალთა რაოდენობა 8-მდე გაზარდა (1, 4, 3). დავძენთ, რომ მანამდე 102 კილოში მოასპარეზე ირაკლი ჩხეიძე აკვრაში ბრინჯაოს დაეუფლა.



„არავის სერიოზულად ეს არ მიუღია“, — გუშინ ასე უპასუხა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჯოზეფ

# ჯოზეფ ბორელი ბრმა და ყრუ ყოფილა!

**ბორელმა** „მეორე ფრონტის“ შესახებ დასმულ შეკითხვაზე **ირაკლი კობახიძესთან** ერთად გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე.

ბორელის თქმით, **არავის სმენია უკრაინიდან მსგავსი მოწოდებები. მისივე თქმით, საქართველოსა და უკრაინას უნდა ჰქონდეს საუკეთესო ურთიერთობები და ქვეყნებს შორის დაპირისპირებით მხოლოდ რუსეთი იღებს სარგებელს.**

ჩვენმა პრემიერმა ევროპაში პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს სრულიად გასაგებად განაცხადა:

**სამწუხაროდ, რამდენიმე განცხადება გაკეთდა მეორე ფრონტის შესახებ, უკრაინელი სამთავრობო პირებიდან მოდიოდა, — უსაფრთხოების საბჭოს მდივნისგან, პრეზიდენტის მრჩევლისგან, ძალიან სამწუხარო იყო ეს განცხადებები, თუმცა უკრაინას ძალიან მტკიცედ ვუჭერთ მხარს პოლიტიკურად და ძლიერი ჰუმანიტარული დახმარებაც გვაქვს აღმოჩენილი. ჩვენ დღესაც განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობები გვაქვს უკრაინელ ხალხთან ...**

**რაც შეეხება სანქციებს, ამ მიმართულებით მკაფიო პოზიცია გაგვაჩნია, ჩვენ არ ვაწესებთ სანქციებს და ამისთვის ძალიან ძლიერი არგუმენტები გვაქვს, ამავდროულად, საქართველო არ გამოიყენება სანქციების გვერდის ასავლელად“...**

ბორელს ეს არ გაუგია!..